თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ო ქ მ ი №18

დ. თიანეთი **2010 წლის 17 ნოემბერი**

ესწრებოდნენ:
სხდომის თავმჯდომარე: გივი წიკლაური - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის მდივანი: ხალიანა არჩემაშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი

საკრებულოს წევრები: ნუგზარ ყურშავიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

აგრეთვე: გიმზერ გოჯიაშვილი, გოჩა ჯანგირაშვილი, ზაზა ბადურაშვილი, იაგო შარაზადიშვილი, ზურაბ დავითაშვილი, იოსებ ფილაური, ზვიად ჯაბანიშვილი, მერაბ ქეშიკაშვილი, თეიმურაზ ცოცხალაშვილი, თამაზ პატარაშვილი, ირაკლი დიდებაშვილი, გრიშა მინდიკაური, ბესიკ გიგაური, ნუკრი ქავთარაძე, მერაბ ძებნიაური

ინგა ჭყრუნიშვილი - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

დღის წესრიგი

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I-კლასს დაქვემდებარებულ შენობა – ნაგებობათა სახეების (რომელთა განთავსება/მშენებლობა ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 ოქტომბრის #64 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

2. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

3. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სახელმწიფო დაფინანსების გარდა დამატებითი სამედიცინო მომსახურეობის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

4. „საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარისა და მოადგილის დანიშვნის შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს # 52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

5. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

6. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების ჩატარების თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

7. თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

8. ა.ა.ი.პ. ,,თიანეთის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების'' მიერ 2010 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

9. თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ 2010 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

10. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 23 თებერვლის # 2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: გივი წიკლაური

მოისმინეს: 1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I-კლასს დაქვემდებარებულ შენობა – ნაგებობათა სახეების (რომელთა განთავსება/მშენებლობა ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 ოქტომბრის #64 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, მერაბ ქეშიკაშვილმა,

ღია კენჭისყრის შედეგად

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის № 57 დადგენილების ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.„თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I-კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეების (რომელთა განთავსება/მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი) და პირობების განსაზღვრის შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 ოქტომბრის №64 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 2. „ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში (თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ) ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ცოცხალაშვილმა, ნუგზარ ყურშავიშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20–ე მუხლის შესაბამისად

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილებები თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის №40 დადგენილებაში „თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ კერძოდ:

1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს შემოსავლების ხარჯებზე გადამეტების თანხიდან დაემატოს 63,0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.) მათ შორის:

ა) საქართველოს საწარმოთა ქონებას (გარდა მიწისა) 14.5 ათ. (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.)

ბ)მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 27.0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.)

გ) სხვა არა კლასიფიცირებულ რენტას 5.5 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.)

დ) ძირითად აქტივებს 16.0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები.)

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებს შემოსავლების ხარჯებზე გადამეტების თანხიდან დაემატოს 63,0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები.) მათ შორის:

ა) მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 3.1 ათ. ლარი და სხვა ხარჯების მუხლში 17.8 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2)

ბ) თიანეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ინფრასტრუქტურის განვითარების და ქონების მართვის სამსახურს შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 2.7 ათ. ლარი

(დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2-3)

გ) თიანეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურს შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 1.6 ათ. ლარი

(დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.4)

დ) თიანეთის მუნიციპალიტეტის შრომის,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურს შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 3.6 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.4)

ე)მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 6.1 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიგვ.4)

ვ) მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში 0.1 ათ. ლარი და მივლინების ხარჯების მუხლში 0.5 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2)

ზ) მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების მუხლში 25.0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.20)

თ) ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლში 0.5 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.7)

ი) სკოლამდელი განათლების სუბსიდიების ხარჯების მუხლს 2.0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.16-17)

3. მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან 10.0 ათ. ლარი გადატანილი იქნას, შრომის ანაზღაურების ხარჯების მუხლში (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2)

4. თიანეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ინფრასტრუქტურის განვითარების და ქონების მართვის სამსახურის ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლიდან 1.3 ათ. ლარი გადატანილი იქნას: (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2-3)

ა) მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლში 1.0 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2)

ბ) მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მივლინების ხარჯების მუხლში

0.3 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.2)

5, თიანეთის მუნიციპალიტეტის შრომის,საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლიდან 0,5 ათ. ლარი გადატანილი იქნას, მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლში 0,5 ათ. ლარი (დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.4,2)

6. მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის სხვა ხარჯების მუხლიდან 45.0 ათ. ლარი გადატანილი იქნას არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების მუხლში.(დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.,2)

7.სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ოფისის ხარჯების მუხლიდან 0.4 ათ. ლარი გადატანილი იქნას შრომის ანაზღაურბის ხარჯების მუხლში.

ოფისის ხარჯების მუხლიდან 0.5 ათ. ლარი, მივლინების ხარჯების მუხლიდან 0.3 ათ. ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯების მუხლიდან 2.5 ათ. ლარი სულ 3.3 ათ. ლარი გადატანილი იქნას, არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების მუხლში.

(დანართი თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები გვ.,9)

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 3. თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სახელმწიფო დაფინანსების გარდა დამატებითი სამედიცინო მომსახურეობის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: გოჩა ჯანგირაშვილმა, ზურაბ დავითაშვილმა

კენჭისყრის შედეგად

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველობის ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის თანახმად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სახელმწიფო დაფინანსების გარდა დამატებითი სამედიცინო მომსახურეობის პროგრამა თანახმად დანართისა.

(დადგენილება თან ერთვის)

მოისმინეს: 4. „საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარისა და მოადგილის დანიშვნის შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 აგვისტოს # 52 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, მერაბ ქეშიკაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლისა და ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის #525 ბრძანებულების მე-5 და მე- 6 მუხლების თანახმად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.შევიდეს ცვლილება ,,საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარისა და მოადგილის დანიშვნის შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12

აგვისტოს # 52 განკარგულებაში და კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ირაკლი ზვიადაური** - თიანეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონებისა და მიწის მართვის განყოფილების უფროსი
ბ) **იაგო შარაზადიშვილი** - თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე.
გ) **მერაბ ქეშიკაშვილი** - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
დ) **მარიამ ლორია** - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს სპეციალისტი თიანეთის რაიონში
ე) **ზვიად დოლიაშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს აღმოსავლეთ ცენტრალური რეგიონალური სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

2. მუდმივმოქმედი კომისსის თავმჯდომარედ დაინიშნოს **ირაკლი ზვიადაური**

3. მუდმივმოქმედი კომისსის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნოს **იაგო შარაზადიშვილი**

4. მუდმივმოქმედი კომისიის მდივნად დაინიშნოს **მერაბ ქეშიკაშვილი**

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 5.თიანეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: თეიმურაზ ცოცხალაშვილმა, ნუკრი ქავთარაძემ

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,კ'' ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 211-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 86-ე მუხლის საფუძველზე, თიანეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დაწყებულ იქნეს თიანეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისათვის ადმინისტრაციული წარმოება 2010 წლის 17 ნოემბერიდან.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 6. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორული შემოწმების ჩატარების თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იოსებ ფილაურმა, ზაზა ბადურაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, საფინანსო კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა აუდიტორული შემოწმება, რომელიც ამავე კანონის 57-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საფინანსო დოკუმენტაციის აუდიტორულ შემოწმებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ჩატარებულ იქნეს თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმება.

2. თიანეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნეს აუდიტორი და გაფორმებულ იქნას მასთან სათანადო ხელშეკრულება.

3. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აუდიტორის ანგარიში წარედგინოს თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 7. თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისა და

კეთილმოწყობისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, მერაბ ქეშიკაშვილმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ო" ქვეპუნქტის თანახმად, თიანეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

ცნობად იქნეს მიღებული თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. აბაშვილის ინფორმაცია ,,თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობისათვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ."

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 8. ა.ა.ი.პ. ,,თიანეთის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების'' მიერ 2010 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.
მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: გოჩა ჯანგირაშვილმა, ზურაბ ბექაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის ,,მ'' ქვეპუნქტის თანახმად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ცნობად იქნეს მიღებული ა.ა.ი.პ. ,,თიანეთის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების'' ხელმძღვანელის მანანა ძებნიაურის ანგარიში გაერთიანების მიერ 2010 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 9. თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ 2010 წლის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.
მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: ბესიკ გიგაურმა, ნუკრი ქავთარაძემ

ღია კენჭისყრის შედეგად

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის და თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის ,,მ'' ქვეპუნქტის თანახმად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის თემურ ბადურაშვილის ანგარიში სამსახურის მიერ 2010 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(განკარგულება თან ერთვის)

მოისმინეს: 10. „თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური ტელეფონით სარგებლობისათვის მონო ბარათების და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 23 თებერვლის # 2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: გივი წიკლაური

აზრი გამოთქვეს: იაგო შარაზადიშვილმა, ზურა ბექაურმა

ღია კენჭისყრის შედეგად

ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარე გ. წიკლაური